

ნაზმნარ სახელთა წარმოების საკითხები სპორტის  
(ტანვარჯიშის) ტერმინოლოგიაში

ფიზიკური აღზრდა და სპორტი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი უბანია. შეიძლება გადაუჭარბებლად. ითქვას, რომ ფიზკულტურული მოძრაობა ამჟამად ჩვენი ცხოვრების მაჯისცემის მაჩვენებლად იქცა.

სპორტის დარგების უჩვეულო ზრდასთან ერთად იზრდება და მდიდრდება ფიზკულტურულ-სპორტული ლექსიკა და ტერმინოლოგია.

რევოლუციამდელ რუსეთში სპორტის მხოლოდ თვრამეტი სახეობაა აღნუსხული. ახლა საბჭოთა კავშირში სამოცდაათი სახეობის სპორტული შეჯიბრება ტარდება. რევოლუციამდელი ლექსიკონი თუ 3000—4000 სპორტულ ტერმინს ითვლიდა, დღეისათვის სპორტულ ტერმინთა და ტერმინოლოგიურ შესიტყვებათა რიცხვი 25000-მდეა გაზრდილი<sup>1</sup>.

სპორტის სხვადასხვა სახეობის ტერმინოლოგიიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ტანვარჯიშის ტერმინოლოგია, რომლის განვითარებას თავისი ისტორია აქვს. ტანვარჯიშის სრულყოფასთან ერთად მდიდრდებოდა და იხვეწებოდა ვარჯიშების ჩაწერის წესიც. მიუხედავად ამისა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ არ იყო ისეთი ტერმინოლოგია, რომელსაც შეეძლო დაექმყოფილებინა გაზრდილი პრაქტიკული მოთხოვნილებები. ცნებათა ნომინაცია ხშირად პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა, რასაც კარგად მოწმობს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება: „მეცხრამეტე საუკუნეში იყო ცდები ტანვარჯიშული მოძრაობების ცხოველთა მოძრაობებთან გაიგივებისა, ზოგ შემთხვევაში ჟარგონული გამოთქმებიც ეხმარათ: „ლომის ნახ-

<sup>1</sup> И. Ф. Протченко, Лексика и словообразование русского языка советской эпохи: Спортивная и физкультурная терминология, М., 1975, გვ. 183.

ტომი“, „კატისებური ხტომი“, „ქურდული ხტომი“ და სხვ. ვარჯიშთა ამგვარი დასახელება მხოლოდ ფორმალურ სახეს იღებდა და სავსებით არ გამოხატავდა მოძრაობის ფორმასა და შინაარსს“<sup>2</sup>.

ამ დროისათვის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ტერმინოლოგია არც რუსულ ენაზე მოიპოვებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთში ცნობილი გახდა პ. ლესგატის სისტემა, რომელსაც ეკლექტიკური ხასიათი ჰქონდა. სისტემის ავტორი თავის შრომებში ტანვარჯიშის მოძრაობათა განსასაზღვრავად ტერმინებს რუსული სასაუბრო ენიდან სესხულობდა, ნაწილობრივ ანატომიურ ტერმინებს იყენებდა, აკრომატული ილეთებისათვის საციკო ხელოვნების ტერმინებს მიმართავდა, საცეკვაო ხასიათის მოძრაობებისათვის — საბალეტო ტერმინებს და ა. შ.<sup>3</sup>

ამგვარად, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის ქართული სპორტული ლექსიკა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ღარიბი და სრულიად უქმარი იყო, — ეს მაშინ, როცა სპორტული სანახაობანი საკმაოდ ფართოდ იყო ცნობილი ძველ საქართველოში. საჭირო იყო ამ თვალსაზრისით ძველი მემკვიდრეობის შესწავლა. მართლაც, მიხ. კეკელიძის მიერ შესწავლილია „ძველ ქართულ ძეგლებში გაბნეული სპორტული ტერმინები და გამოთქმები“<sup>4</sup>, რომელთა გაცნობამაც დაადასტურა, რომ ქართულ სპორტს და მასთან დაკავშირებულ ლექსიკას სათავეები შორეულ წარსულში ჰქონია.

ავტორს სპორტული ტერმინების გამოსავლენად შეუსწავლია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მოგვიანო ძეგლებიდან — არჩილის „საქართველოს ზნეობანი“<sup>5</sup>, სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“<sup>6</sup>, თეიმურაზ მეორის „თხზულებანი“<sup>7</sup>.

ძველი ქართულის კუთვნილებაა იმ რიგის ტერმინები, როგორცაა (მოყვანილია სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით): **მოზურთალი**, **მორკინალი** (მოჭიდავე), **მოგვერდი**, **ფანდი** (ჭიდაობაში გამოყენებული ხერხები), **ხტომა** (მაღლა შეხტომა), **სრბოლა** (რბენა),

2 თ. ს ა ნ ე ბ ლ ი ძ ე, ტანვარჯიში, ნაწილი პირველი, 1975, გვ. 15.

3 А. Т. Б р ы к и н, Гимнастическая терминология, М., 1959, გვ. 9-10.

4 მიხ. კეკელიძე, სპორტული ტერმინოლოგია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა მიხედვით: ყურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1969, № 1, გვ. 68—70.

5 არჩილიანი, „საქართველოს ზნეობანი“, ტ. I, 1936 (ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით).

6 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928, პროფ. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით.

7 თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, 1939, გ. ჯაკობიას რედაქციით, გვ. 74.

**სარბიელი** (სარბენელი ადგილი), **მსრბოლი** (მორბენალი), **მორბედი** (მორბენალი), **მალემსრბოლი** (ჭენებით მავალი), **წინამორბედი** (წინამორბენალი). ამ სპორტულ ტერმინს დღეს სხვა გაგება აქვს (იგი უდრის რუსულ предшественник-ს).

მეოცე საუკუნის საქართველოში სპორტის განვითარება გიორგი ნიკოლაძის სახელს უკავშირდება. „ჯერ კიდევ 1908 წელს, როდესაც გ. ნიკოლაძე წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშეთა შეხვედრაზე ბულგარეთში, სპორტის დარგში სოფიის უნივერსიტეტის მუშაობით აღტაცებულს, დაუწყია ფიქრი ქართულ ენაზე სატანვარჯიშო ტერმინოლოგიის შექმნის შესახებ. 1910—1911 წლებში რუსეთში ყოფნის დროს მას ბევრი უცხოური (ძირითადად ჩეხური) და რუსული ტერმინი გადმოუქართულებია, ზოგი თვითონ შეუქმნია და, ამგვარად, თავი მოუყრია ეროვნული სატანვარჯიშო ტერმინოლოგიისათვის, რომელიც შემდგომში არა მარტო მის მიერ დაარსებული თბილისის სპორტული საზოგადოების „შევარდენის“ სავალდებულო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა, არამედ საქართველოს სხვა სპორტულ საზოგადოებათა და სასწავლებელთა ერთადერთ სახელმძღვანელო წიგნად იქცა“<sup>8</sup>.

როგორც ცნობილია, საარქივო მასალების საფუძველზე და სპორტის გამოჩენილ მოღვაწეთა გადმოცემით, ამ პერიოდისათვის ტანვარჯიშმა დიდი გავრცელება და აღმავლობა განიცადა. ტანვარჯიშული მოძრაობანი შეივსო და გამდიდრდა ქართული ეროვნული სპორტის სახეებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი და ლამაზი მოძრაობებით. ტანვარჯიშის სრულყოფასთან ერთად მდიდრდებოდა სპეციალური ლექსიკონისა და ტერმინების მარაგიც. ამის გამო საჭირო გახდა არსებული ქართული სატანვარჯიშო ტერმინოლოგიის შევსება-უნიფიკაცია.

1918 წ. გიორგი ნიკოლაძის მიერ შედგენილი „საშევარდენო ტანვარჯიშის რუსულ-ქართული ტერმინოლოგია“ დაიბეჭდა 1920 წ. ხელნაწერის უფლებით, როგორც დამატება საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონისა“<sup>9</sup>. მასში შევიდა 550-მდე სიტყვა-ტერმინი და ტერმინოლოგიური გამოთქმა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი თავისი მო-

<sup>8</sup> რ. ლამბაშიძე, გიორგი ნიკოლაძე და ქართული ტერმინოლოგია: კურს. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1988, № 8, გვ. 22.

<sup>9</sup> „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი)“, შედგენილი საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინოლოგიო სექციის მიერ (შესწორებული და შევსებული გამოცემა), ტფილისი, 1920 წ. და 1921 წ.

ცულობით პატარაა, იგი შეიცავს სატანვარჯიშო დარგის ძირითად ცნებებს და შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს პირველ ცდას ქართულ ენაზე ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის შედგენისა.

ცნობილია, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში ყველაზე უფრო სრულყოფილი და დახვეწილი ჩეხური სოკოლური ტერმინოლოგია იყო. „ჩეხმა სპეციალისტებმა შეძლეს შესასრულებელი მოძრაობის მოკლედ და ზუსტად განსაზღვრა. ტერმინების რაოდენობაც საკმაოდ დიდი იყო. რუსმა სპეციალისტებმა მიჰბადეს ჩეხებს და მათ მსგავსად შეეცადნენ სხელის ნაწილთა მოძრაობა და მიმართულება ერთი ტერმინით გამოეხატათ. მაგალითად, ფეხის მოძრაობის ნებისმიერი მიმართულების გამოსახატავად გამოიყენეს ზმნა „ножить“ ხელების მოძრაობისათვის „ручить“. სხვადასხვა მიმართულების აღნიშვნა ეკისრებოდა ზმნისწინებს: пред- აღნიშნავდა მოძრაობას წინ, за- უკან, у- მოძრაობას გვერდზე, вз- ზევით, при- საწყის მდგომარეობაში დაბრუნებას (ანუ ხელებს ჩამოშვებასა და ფეხების მიდგმას). ასე, მაგალითად, ხელების წინ გაწევა აღინიშნებოდა ტერმინით предручить, ხოლო ფეხის უკან გაწევა — заножить. სიტყვა клониться-დან გამოყოფდნენ ფუძე клон-ს, რომელსაც (სხელის ნებისმიერი მოძრაობის დასაკონკრეტებლად გამოსახატავ ტერმინთა შესადგენად) უმატებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ ზმნისწინებს. ამგვარად შედგენილ ტერმინებში, მოძრაობასთან ერთად, მიმართულებაც იყო გამოხატული, ასე, მაგალითად: уклон—наклон туловища в сторону, предклон—наклон вперед<sup>10</sup>.

ამ ზმნისწინთა გამოყენებითვეა ნაწარმოები შემდეგი ტერმინები: предскок, ускок, заскок, взмах, взнос, присед.

გ. ნიკოლაძეს ჯერ ასეთი ყალიბით აგებული რუსული ტერმინების გადმოქართულება დაუწყია, რაც ქართული ენისათვის არავითარ უხერხულობას არ ქმნიდა, რადგან ქართულ ენაში ზმნისწინებით მიმართულების აღნიშვნა ბუნებრივი იყო და, რაც მთავარია, გ. ნიკოლაძემ ზემოთ მოყვანილ ტერმინებს სწორუბოვარი ქართული ეკვივალენტები მიუხადავა. მაგალითად: ზნექი—клон, წინზნექი—предклон, უკუზნექი—заклон, სტომი—скок, წინსტომი—предскок, შესტომი—вскок, ზებტომი—подскок, განსტომი—ускок, სამსტომი—тройскок, ორსტომი—двойскок, ზექნევი—взмах, ზეშვერი—взнос, ბუქნი—присед, ერგბრუნი—полуприсед, ქანი—кач, ქნევი—мах, ძგერი—тычок და ა. შ.

ასეთი ტერმინების გამო იყო, გ. ნიკოლაძე „ტანვარჯიშის ტერმინოლოგის“ წინასიტყვაობაში რომ აღნიშნავდა: „საშევარდენო სა-

<sup>10</sup> А. Т. Брыкин, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

ხელსახების (ტერმინოლოგიის) რომელიმე არასლავურ ენაზე გადათარგმნა ძალიან ძნელად დასაძლევ საჭმეს წარმოადგენს, მიუხედავად ამისა, სლავური ენების სიტყვათა ქართულად გადმოღება სრულიად შესაძლებელი ყოფილა, ამიტომაც ჩეხური სახელსახების მეცნიერული ერთიანობა და სიტყვათა სიმოკლე თარგმანშიაც საესებით დაცულია. პირიქით, ქართული ენის სიმდიდრემ შეძლება მოგვცა ქართულ სახელსახებაში, ჩეხურთან შედარებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეგვეტანა და ამით ქართულ ტანვარჯიშულ სახელსახების მეცნიერული ხასიათი თვით ჩეხურზე უფრო მკაფიოდ აგვესახა“<sup>11</sup>.

აქ ავტორის მხედველობაში უნდა ჰქონდეს ტერმინთა აგება ქართულად. და მართლაც, გ. ნიკოლაძეს აღნიშნულ ტერმინოლოგიაში ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინების ასაგებად გამოყენებული აქვს ქართული ენისათვის უპრეცედენტო არ იყო, მაგრამ მისი ხმარების სიშიძე აღნიშნავს: „ახალი დერივაციული მოდელი, ესაა ზმნის ფუძეთა გასუბსტანტივების შედეგად მიღებული ფორმები, რომლებიც ქართული ენისათვის უპრეცედენტო არ იყო, მაგრამ მისი ხმარების სიხშირე სულ რამდენიმე ნიმუშით ამოიწურებოდა“<sup>12</sup>. მაგალითად: **ბრუნი** (<ბრუნვა)—поворот, **ბუქნი** (<ბუქნა)—присед, **ქანი** (<ქანება)—кач. **ქნევი** (<ქნევა)—мах, **ტაცი** (<ტაცება)—хват, **ძგერი** (<ძგერა)—тычок, **ხტომი** (<ხტომა)—скок და სხვ.

ღროთა განმავლობაში ეს ფორმები იმდენად კარგად შეითვისა ენამ, რომ მისი ხმარების არე თანდათან გაფართოვდა და იქ, სადაც წარმოების ეს შემთხვევები არ გვქონდა იქაც იჩინა თავი. ასე მაგალითად, 1920 წლის ტანვარჯიშის ტერმინოლოგიაში ვიც ითარგმნებოდა როგორც **კიდვა**; 1954 წ. საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შედგენილ „რუსულ-ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიურ მკეტში“ **კიდვა**-ს ნაცვლად **კიდი** გვაქვს, **ზნეჟა**-საგან **ზნეჟი** გაკეთდა, ხოლო **დგომა**-საგან — **დგომი**.

იმის დასტურად, თუ როგორ მოიკიდა ფეხი ასეთმა წარმოებამ, მოგვყავს ნიმუშები 1920 და 1954 წლებში გამოცემული ტერმინოლოგიებიდან:

11 გ. ნიკოლაძე, საშეგარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული სიტყვარი, 1920, გვ. 265.

12 რ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 23.



1920		1954	
ბრუნნი	позорот	ბრუნნი	поворот
ბუქნი	присед	ბუქნი	присед
ქანი	кач	ქანი	кач
ქნევი	мах	ქნევი	мах
ტაცი	хват	ტაცი	хват
ხტომი	скок	ხტომი	скок
ძეერი	тычок	არეკნი	толчок
		ბრჯენი	упор
		გარბენი	пробежка
		გრეხი	выворот
		დგომი	стойка
		ზნეჭი	клон
		კილი	вис
		ფრენი	лет
		შთობი	гас
		ჯლომი	сед
		ქლომი	скрещение

ზმნური ფუძისაგან სახელთა ასეთი წარმოება ფაქტობრივ პირველ ქართულ ტანვარჯიშულ ტერმინოლოგიასთან ერთად შეიქმნა. ახალი დერივაციული მოდელის გამოყენება ტერმინოლოგიური საჭიროებით იყო გამოწვეული, რადგან მასდარით გადმოცემული მოქმედება, ვარდა იმისა, რომ ზოგად შინაარსს გადმოსცემს, ამასთან, მოქმედების სახელიცაა, ხოლო **ბუქნი**, **ხტომი** და მისთანანი მოქმედების კონკრეტულ სახეს გვიჩვენებენ. ეს ფორმები ერთგზის შესრულებული მოქმედების სახელებია.

სახელთა აღნიშნულ წარმოებას სამოცზე მეტი წლის ისტორია აქვს და დღეისათვის საკმაოდ დამკვიდრებულია.

ამგვარად ნაწარმოები სიტყვები დაედო საფუძვლად მთელ რიგ ახალ კომპოზიტებს, რომელთა მეორე კომპონენტად, ერთგვარი სუფიქსოიდის ფუნქციით, სწორედ ეს სიტყვები იქცა.

მაგალითად, **ზრჯენ**-ისაგან მივიღეთ: ბუქნ-ლუნბრჯენი—упор на согнутых руках присев, დგომბრჯენი—упор стоя, იდაყვბრჯენი—упор на локтях, მკლავბრჯენი—упор на руках, უკანბრჯენი—упор сзади, ლუნბრჯენი—упор на согнутых руках, ჩოქბრჯენი—упор стоя на коленях, ჩოქმართმბრჯენი—упор стоя на коленях на вытянутых прямых руках, წოლბრჯენი—упор лежа, წოლმართბრჯენი—упор лежа на прямых руках, წოლლუნბრჯენი—упор лежа на согнутых руках, წყრთაბრჯენი—упор на предплечьях და სხვ.

**დგომ-ისაგან:** საწყისი დგომი—**выходная стойка**, უკუდგომი—**задняя стойка**, ცერდგომი—**стойка на носках**, წინდგომი—**передняя стойка**, ჩამოდგომი—**соступ**.

**კიდი:** ზემეგრკიდი—**сгнувшись вис**, მართკიდი—**вис на вытянутых руках**, მუხლქვეშდაკიდი—**вис завесом**, ლუნკიდი—**сгиб (в висе)**, ცერდაკიდი—**вис завесом носками**, ცერკიდი—**вис на носках**.

**ტაცი:** ამოტაცი—**хват снизу**, დატაცი—**хват сверху**, მკლავტაცი—**захват**, ნიორტაცი—**различный хват**, ხელტაცი—**захват**.

**ხტომი:** გადახტომი—**перескок**, ზეხტომი—**подскок**, მიხტომი—**наскок**, მუხლზეხტომი—**вскочить на колени**, ორხტომი—**двускок**, სამხტომი—**тройной прыжок**, სლხტომი—**срыв**, შეხტომი—**вскок**, შიგვანხტომი—**прыжок в скно**, შუახტომი—**междускок**, ჩამოხტომი—**соскок**.

**ზნეჭი:** განზნეჭი—**наклон в сторону**, უკუზნეჭი—**наклон назад**, წინზნეჭი—**наклон вперед**.

**ქნევი:** დიდი ქნევი—**большой мах**, უკუქნევი—**мах назад**, წინქნევი—**мах вперед** და სხვ.

ყველა ეს ტერმინი რეგულარულად იხმარება სპორტულ სახელმძღვანელოებში, სადაც თითოეული მათგანის კონტექსტში გამოყენების მაგალითები უხვად გვხვდება<sup>13</sup>.

ზემოთ მოყვანილი ნიმუშები — **ბრუნი**, **ქნევი**, **ტაცი**, **ჯდომი** და მისთანები მასდარისაგან ნაწარმოები სახელებია. როგორც მაგალითებთან ვხედავთ, მასდარში იმ მოქმედების ანდა ვითარება-მდგომარეობის გასუბსტანტივებაა, რომელიც ზმნაშია გამოხატული, ამგვარი წარმოების დროს **-ავ** და **-ებ**-თემისნიშნისანი ზმნებისაგან ნაწარმოები მასდარები კარგავენ **-ავ** და **-ებ** თემის ნიშანს: **ბრუნავს > ბრუნი**, **ბუქნავს > ბუქნი**, **ტაცება > ტაცი**, **ქანება > ქანი**, ხოლო **-ომ**-ინფიქსიანი მასდარებისაგან ნაწარმოები სახელები ამ **-ომ**-ს სახელშიც ინარჩუნებენ: **ხტომა > ხტომი**, **დგომა > დგომი**, **ჯდომა > ჯდომი**, **სხლტომა > სხლტომი** და სხვ. **-ომ**-თემისნიშნისანთაგან სპორტულ ტერმინოლოგიაში მხოლოდ ერთი შემთხვევა დასტურდება: **შთობა > შთობი**, რომელიც, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ახალ ქართულში (**ბ**)**რჩობა**-ს ფონეტიკური შესატყვისი **ვარჩობ** უნდა იყოს. ისტორიულად

<sup>13</sup> თ. საანებლიძე, დაცვა და დანაშაურობა სპორტულ ტანვარჯიშში, 1950, გვ. 64,6; 83,32; 41,10; 147,23; 121,9; 120,30; 60,13; 145,2; 40,16; 70,27; 81,10 და სხვ.

მისივე: ა) ტანვარჯიში, ნაწილი I, სახელმძღვანელო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის, 1975, გვ. 21,5; 22,15; 25,8; 32,12; 35,15; 35,25; 48,18; 51,4; 74,14; 86,30 და სხვ. ბ) სპორტული ტანვარჯიში, ნაწილი II, 1983, გვ. 136,13; 211,7; 187,16; 114,16; 184,31; 170,28; 172,15; 243,13; 138,21; 194,15; 113,29; 209,4 და სხვ.

მას ასეთი განვითარების გზა აქვს გავლილი: **ვაშთობ < ვაშდობ < ვაშუდობ**<sup>14</sup>.

როგორც ითქვა, ზმნისაგან სახელის წარმოება ენათა დამახასიათებელი სტრუქტურული თავისებურებაა. როგორც ცნობილია, ზმნის პირიანი ფორმისგანაა ნაწარმოები, მაგალითად, რომელიმე **ნეტარარიანი-ი, უგალობდით-ი, აქებდით-ი, აკურთხევს-ი, მომიკსენენ-ი, ღალღუვის-ი, აღვივსენით-ი** და სხვ.<sup>15</sup>

ამგვარადაა ნაწარმოები დღეს სალიტერატურო ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვები: **ღირს-ი, არს-ი, მრწამს-ი, ხერთვის-ი, იძვრის-ი, ჯამს-ი** და სხვ.<sup>16</sup>

ქართული ენა ნაზმნარ სახელთა წარმოებისას, ჩვეულებრივ, მიმართავს მიმღეობას: **წერილი, მწერალი, მასწავლებელი** და მისთ. საანალიზო სპორტული ტერმინების წარმოების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აქ ნაზმნარ სახელთა წარმოება არღვევს სახელთა წარმოების წესს, უპირისპირდება მას. ნათელია, რომ **ხტომი, ბრჯენი, ჯდომი** და მისთანები ანალოგიით წარმოქმნილი ფორმებია, მაგრამ მათი საანალოგიო საფუძველია არა ნაზმნარ სახელთა წარმოების ქართულში დამკვიდრებული ხერხი, არამედ სახელთა და ნასახელარ ზმნათა ურთიერთმიმართება, სახელდობრ: **ხტომი — ხტომა, ჯდომი — ჯდომა, ბჯენი — ბჯენა** და მისთ. ისე ჩანს, თითქოს ზმნა სახელისაგან იყოს ნაწარმოები და არა პირუკუ. ქართული ზმნის გაორებული (ზმნური და სახელური) ბუნება ასეთი ახსნის შესაძლებლობას არ გამოიციხავს — მით უფრო, რომ ქართულში სახელის ფუძისაგან ზმნის წარმოების შემთხვევებიც გვხვდება. მაგალითად: **ხატავ-ს** ზმნა ნასახელარი ზმნაა, რომელიც **ხატ-** სახელისაგან არის ნაწარმოები: **ხატი > ხატავს > ხატვა**. ცნობილია, რომ **ხატ** ძველ ქართულში ნიშნავდა სახეს, სურათს<sup>17</sup>: „მიჩუენეთ მე დრაჰკან! ვისი არს **ხატი** და ზედწერილი“ (ლ. 20,24). „თქუენ არცა ვმაჲ მისი გესმა სადამე და არცა **ხატი** იხილეთ“ (ი 5,37).

ოთხთავში **ხატ-ფუძისაგან** ნაწარმოები ზმნა არ გვხვდება. როგორც ჩანს, ამ ფუძისაგან ზმნა შემდგომ უწარმოებიათ.

14 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, I, 1973, გვ. 403.

15 К. С. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912 გვ. 323—342. დამოწმებულია რ. ლამბაშიძის მონოგრაფიიდან „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, 1986, გვ. 136—137.

16 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 582.

17 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 396.



მსგავსი წარმოებისაა **ხაზავ**-ს ზმნა, რომელიც ასევე ნასახელა-  
რია. იგი **ხაზ**- ფუძისაგანაა ნაწარმოები: **ხაზი** > **ხაზავ**-ს > **ხაზვა**<sup>18</sup>.

მსგავსადღვე იწარმოება **ტუს**-ისაგან **ტუსავს**, აქედან — **ტუსვა**,  
**ბარ**-ისაგან — **ბარავს** და შემდგომ **ბარვა** და ა. შ.

მაგრამ აქ განხილულ მაგალითებში სახელისაგან ზმნის წარმო-  
ების შემთხვევები უპირისპირდება სპორტის ტერმინოლოგიაში **ჯდო-  
მი**, **დგომი**, **ბჯენი**, **კიდი** და მისთანათა წარმოებას. სპორტის ტერმი-  
ნოლოგიაში ეს ფორმები ზმნურ ფუძეთაგან მომდინარეობს — მას-  
დარებისაგან არის მიღებული **ხტომა** — **ხტომი** ტიპის წყვილების  
ანალოგიით. მასდარის ამგვარ გაფორმებას ენაში შემდეგი საფუძველი  
ექვბნება: როგორც ცნობილია, ქართულში რიგ ნასახელარ ზმნებს  
მასდარი არ გააჩნია, მის მაგივრობას ის სახელი ეწევა, რომლისგა-  
ნაც ნაწარმოებია ეს ზმნები. ასეთებია: **ვლაპარაკობ** (<ლაპარაკი),  
**ვჩხუბობ** (<ჩხუბი), **ვბაახობ** (<ბაახი), **ვსაუბრობ** (<საუბარი).  
ამ ზმნების მასდარი უნდა ყოფილიყო: **ლაპარაკობა**, **საუბრობა**, **ბა-  
ახობა**, **ჩხუბობა**, მაგრამ ასეთი ფორმები ენაში არ იხმარება.

ფუძეგაორკეცებული ხმაბაძვითი სახელებისაგან ნაწარმოები  
ზმნებიც ვერ აწარმოებენ მასდარს. ამიტომ ისინიც იმ სახელს იყე-  
ნებენ, რომლისგანაც არიან ნაწარმოები. ასე, მაგალითად: **ყიყიხი**,  
აქედან იწარმოება ზმნა **ყიყინებს**, **ჩიყჩიყი** > **ჩიყჩიყებს**, **ჭრიჭინი** >  
**ჭრიჭინებს**, **ჭიჭყინი** > **ჭიჭყინებს**, **ხვიხვინი** > **ხვიხვინებს**. სათანადო მას-  
დარები უნდა ყოფილიყო: **ყიყინება**, **ჩიყჩიყება**, **ჭრიჭინება**, **ხვიხვინე-  
ბა**, მაგრამ ასეთი ფორმები პრაქტიკულად არ გვხვდება.

ამავე წარმოებისაა ფუძეგაორკეცებული სიტყვები: **ფაცა-ფუცი**,  
**ლაწა-ლუწი**, **კნაწა-კნუწი**, **სხაპა-სხუპი** და სხვ. აქ ფუძე ორკეცდება  
ისე, რომ ფუძის პირველ ნაწილს ბოლოში **-ა** ერთვის, მეორეს კი **-ი**,  
ამასთანავე, კომპოზიტის პირველი კომპონენტის ფუძისეულ **-ას** მეო-  
რეში **უ** ენაცვლება. თითქოს ამასაც ერთგვარი კავშირი უნდა ჰქონ-  
დეს სპორტის ტერმინოლოგიაში გამოვლენილ ზმნის ფუძეთა გასუ-  
ბსტანტეგებასთან.

როგორი ახსნაც უნდა მოეპოვებოდეს ზემოთ განხილულ ფორ-  
მათა წარმოებას, ერთი რამ ცხადია: გ. ნიკოლაძის მიერ ტანვარჯი-  
შის ტერმინთა შესაქმნელად შემოღებულმა დერივაციულმა მოდელმა  
მტკიცედ მოიკიდა ფეხი ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებაში და იგი  
დღეს სპორტული ტერმინოლოგიური სისტემისათვის დამახასიათებელ  
ერთ-ერთ სტაბილურ მოდელად იქცა.

<sup>18</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 396.